

სპეციალური მასწავლებლის როლის, მნიშვნელობისა და გავლენის
კვლევა მხედველობის სირთულის მქონე მოსწავლის სოციალური
უნარების გაუმჯობესების პროცესში.

გვანცა ლურსმანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების სკოლა
სპეციალური განათლება

თემის ხელმძღვანელი: ანა მიქიაშვილი, დოქტორანტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ანა მიქიაშვილს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის. ანა აქტიურად იყო ჩართული არსებული ნაშრომის კვლევის პროცესში, დამაკავშირა მასწავლებლებთან, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში წინასწარ მაძებნინებდა ალტერნატიულ გზებს. კვლევის პროცესში ვგეგმავდით შეხვედრებს, დამეხმარა ჩამომეყალიბებინა ინტერვიუს კითხვები და მაძლევდა რჩევებს კონკრეტულად რა საკითხებზე გამემახვილებინა ყურადღება. მუდმივად მზად იყო დახმარებისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში ჩართულ სკოლის დირექტორებს, სპეციალურ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, იმისთვის რომ ნება მომცეს კვლევის ჩატარების.

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სამაგისტრო ნაშრომის გარკვეული პასაჟები გამოყენებულია ჩემ მიერ აკადემიური წერის სიმულაციურ სამაგისტრო ნაშრომში.

გვანცა ლურსმანაშვილი

13.02.2022

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს, რამდენად სათანადოდ ხდება მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სოციალური უნარების ხელშეწყობა საკლასო და სასკოლო სივრცეში საქართველოს სკოლების მაგალითზე. ნაშრომი მიმოიხილავს მასწავლებელთა მიდგომებს, დოკუმენტებს, სტრატეგიებსა და მეთოდებს თუ რას იყენებენ და როგორ აუმჯობესებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, ასევე, მათ ინტერპერსონალურ ურთიერთობებს მხედველობის სირთულის მქონე პირებთან

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ: ფოკუს-ჯგუფი, სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. ასევე, კვლევაში განხილულია ის ძირითადი და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, კანონმდებლობა და სტატიები, რომლებიც ეხება მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებით რამდენიმე კვლევა ჩატარდა ქართულ რეალობაში, აღნიშნული ნაშრომი გამორჩეულია იმით, რომ უშუალოდ სპეციალური მასწავლებლის როლი და მათი პრაქტიკული მუშაობა ჯერ არ უკვლევიათ მხედველობის სირთულის მქონე მოსწავლეების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობ პროცესებში.

საკვლევი თემა საინტერესოა არა მარტო კონკრეტული სკოლის მასწავლებლების, სტუდენტებისა და მშობლებისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მხედველობის სირთულის მქონე მოსწავლეებთან მუშაობს.

კვლევამ აჩვენა, რომ მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების სოციალური ინკლუზიის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს განათლება, დასაქმებისა და გადაადგილების სირთულე, რაც აფერხებს საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაციას და დიდ გავლენას ახდენს მათ პირად ცხოვრებაზე. აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით კი საგანმანათლებლო სივრცესა და სპეციალურ მასწავლებლებს დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

არსებული ნაშრომი საინტერესო, რადგან ამ კუთხით საქართველოში კვლევები იშვიათია, ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარებული კვლევები, ტიპური განვითარების მოსწავლეების ჩართულობას და მიღწევებს მოიცავს. ვთვლი, რომ სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სასკოლო სივრცეში საჭიროებს გავრცობას, რაც უზრუნველყოფს ცნობიერების ამაღლებას და ამავედროულად აკადემიური ცოდნის დაგროვებას ამ სფეროში.

საძიებო სიტყვები: მხედველობის სირთულე, მხედველობის დარღვევა, სოციალური უნარები, სოციალური ინკლუზია, დამოუკიდებლობა, გაფართოებული სასწავლო გეგმა, ბიოფსიქოსოციალური მოდელი, კასელის კლასიფიკაცია, ზოგადი განათლების რეფორმა, სპეციალური მასწავლებელი.

Abstract

The master's thesis aims to study the importance of properly promoting the social skills of students with visual impairments in the classroom and school space on the example of Georgian schools. The paper reviews teachers' approaches, documents, strategies, and methods of what they use and how they improve students' social skills, as well as their interpersonal relationships with visually impaired individuals.

Qualitative research is used to conduct the research, namely: focus group, structured and semi-structured interviews. The study also discusses key and important scientific papers, legislation, and articles that address important issues related to the social inclusion of persons with visual impairments.

Although several studies on social inclusion have been conducted in the Georgian reality, this paper is distinguished by the fact that the role of the special educator and their practical work has not yet been explored in the processes of promoting social inclusion of visually impaired students.

The research topic is interesting not only for teachers, students, and parents of a particular school but also for all people who work with students with visual impairments.

Research has shown that education, employment, and mobility problems, which hinder social integration in society and have a great impact on their personal lives, are obstacles to the social inclusion of visually impaired people.

The present paper is interesting because studies in this field are rare in Georgia, studies conducted in the educational space, in general, include the involvement and achievements of students in typical development. I believe that promoting the development of social skills in the school space for students with visual impairments needs to be expanded, which will provide awareness and at the same time accumulate academic knowledge in this area.

Search Keywords: Visual impairment, Social skills, Social inclusion, Independence, Extended curriculum, Biopsychosocial model, Casel classification, General Education Reform, Special education teacher.